სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება

16.12.2011 № 133

თბილისი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებსაიტზე ინფორმაციის განთავსების რეგულირებისა და განთავსებულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

სტუ–ს ვებსაიტის მართვას, მის ტექნიკური მხარდაჭერას, განახლებას და ადმინისტრირებას ახორციელებს სტუ-ს კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრი.

ვებსაიტის სრულფასოვანი ფუნქციონირების მიზნით, ინფორმაციის სანდოობაზე, გამართულობაზე, სისრულესა და ოპერატიულობაზე პასუხისმგებლობა განაწილდეს შემდეგნაირად:

1. სტუ–ს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს დაევალოთ, გამოყონ თანამშრომელი/თანამშრომლები, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ვებგვერდის ინფორმაციულ-შინაარსობრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე:

   - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (თათა ფილიპიდისი)
   - საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური (ნინო ჟიჟილაშვილი, მარიკა ზვიადაძე)
   - პერსპექტიული განვითარების სამსახური (კობა სოხაძე)
   - სწავლების დეპარტამენტი (ხათუნა ლეჟავა)
   - მეცნიერების დეპარტამენტი (დავით თავხელიძე)
   - კომერციალიზაციის დეპარტამენტი (მამუკა მაცაბერიძე)
   - სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი (ნინო ელისაშვილი)
   - საგამომცემლო სახლი "ტექნიკური უნივერსიტეტი" (ალექსანდრე გრიგოლიშვილი)

2. ფაკულტეტების დეკანებს დაევალოთ, გამოყონ თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შესაბამისი ფაკულტეტის ვებგვერდის ინფორმაციულ-შინაარსობრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე.

- სამშენებლო ფაკულტეტი (რამაზ ჟღენტი)
- ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი (არჩილ კოხტაშვილი)
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი (დავით კუპატაძე)
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი (გიორგი გაიხარაშვილი)
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი (ხათუნა მღებრიშვილი)
- არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი (ბადრი გორგილაძე)
- ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი (თემურ თათარიშვილი)
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი (თინათინ კაიშაური)

ინფორმაციული ტექსტების სტილისტური გამართვა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით უზრუნველყოს სარედაქციო საგამომცემლო საბჭოს რედაქტორმა (აკაკი ჩიქოვანი).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებსაიტის ზემოაღნიშნულ ვებგვერდებზე ინფორმაციის შეტანისა და განახლების უფლება მიეცეს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ შესაბამის ვებგვერდზე პასუხისმგებელ, წინასწარ დასახელებულ უფლებამოსილ პირს/პირებს.

3. სტუ–ს ვებსაიტზე სიახლეების, ბრძანებების, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს, ასევე, სტუ–ში მიმდინარე კონფერენციებისა და კონკურსების შესახებ ინფორმაციის განთავსება, განახლება და მხარდაჭერა დაევალოს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურს (ნინო ჟიჟილაშვილი);
4. სტუ-ს ინტერნეტგამოცემაში "News.gtu.ge" ინფორმაციის განთავსება, განახლება და მხარდაჭერა დაევალოს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურს (მარიკა ზვიადაძე)
5. საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურს, ასევე, დაევალოს საიტის ინგლისურენოვან ვერსიაზე ინფორმაციის განთავსება, განახლება და მხარდაჭერა (ნინო ჟიჟილაშვილი), ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტთან შეთანხმებით (ლელა ვერბი)
6. კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრს დაევალოს, პერიოდულად ჩაატაროს ტრეინინგი საიტის მართვის სისტემის მოხმარების საკითხებზე (ეკა ჩიკაშუა, მაკა ცერცვაძე)

7. ვებსაიტის სტრუქტურისა და დიზაინის მხარდაჭერა დაევალოს კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრს, საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურთან შეთანხმებით

ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებსაიტზე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:

საერთაშორისო ურთუერთობათა და სტანდარტების სამსახურის უფროსი

ო.ზუმბურიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ბ. მაისურაძე